

26
1865

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

АВГУСТЪ.

სამართუმოს

სასულიერო მასალებელი.

აკკისტი.

ხედეწ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К^о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18⁶⁴/₆₅) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

სქელსამწერსა ჟურნალზედ მიიღება ტიფლისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით სუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულსათვის ერთი მანეთი. ამავე ფასით შეიძლება გამწერს დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ჟურნალისა.

ცალკე იხილება: “ადვილსასმენელად გამოსატყა მართლმადიდებელის სარწმუნოების დოქმატიკურისა სწავლისა,, და “ცხოვრება უკვლადწმიდისა ღმთის-მშობლისა,,—ორ აბასათ თათო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

35



როდესაც ებრაელთა შეინანეს და აღუარეს ღმერთსა, ტევობის დროს, თავიანთი ურწმუნობა და ბოროტ-მსახურება, მაშინ დასრულდა ტევობა და წვალება მათი უცხო ქვეყანაში. — მართლაც, იმ ცოტა ხანში, სწარსელთ მეფის კიროსის ბძანებით, უკუნ-იქცნენ იუდეანნი ბაბილონით იერუსალიმად. უკანასკნელ ისაია, ბოროტ-მსახური იუდეანთ მეფის მანასიას ბრძანებით, იქმნა შუა-ზედ გახერხილი 760 წ. ქრ. შობ.

კით. რით არის შესანიშნავი იერემია?

მიგ. იერემიამ იწყო მხილება იუდეანთ ბოროტ-მსახურებისა და ურწმუნობებისა, მეფე იოსიას დროს, წინათვე სთქუა იერუსალიმის დაცემა და დაღვება. მან განსაკუთრებით ცხადად გამოსთქუა ქაში მოსვლისა მისა ღუთიხა ქვეყანასა ზედა.

კით. რაზედ სწერდა ეზეკია წინასწარმეტყველი?

მიგ. ეზეკიამ იწყო წინასწარმეტყველება მესუთე წელიწადს თავის ტევობისა ბაბილონის ქვეყანაში. მან ზეგარდამო მთავრებით გაიგო დრო იუდე-



ანთ ტუვეობიდგან განთავისუფლებისა, განახლებებისა და აღმართუისა სოლომონის ტაძრისა; წინათვე გაიგო ეგრეთვე დრო მესიის მეფობის დადგინებისა და წარმართთა მოწოდებისა მისს სამეფოში, ესე იგი შეერთება მათი იესო ქრისტეს სარწმუნოებითა

კით. რით არის შესანიშნავი დანიელი?

მიკ. დანიელი იყო ათის წლისა, რომ ტუვეთ წაიუვანეს ბაბილონში, სადაც დიდი მეცადინეობა და გულსმოდგინება გასწივა სწავლაში და მეცნიერებაში. მან აუხსნა სიზმარი ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსოვს, რაისათვისც დაანიელი მასთან ძალიან მიჩნეული და დაახლოებული კაცი გახდა. მაგრამ შემდგომად მისა, როდესაც დარიოს მეფის წინააღმდეგ დაიწყო ქცევა: დედაში სამჯერ იერუსალიმისკენ იქმოდა ჰირსა და მხურვალედ ლოცულობდა თავის ჭეშმარიტს ღმერთსა, — ამის გულისათვის ჩააკდეს ის ლომების სამეფოს ხაროში; მაგრამ ღმერთმა საკვირველად

დაიფარა დანიელი მძვინვარე მხეცებისაგან და აღმოვიდა ხაროდგან უვნებელი. დანიელიც მსგავსად სხუა წინასწარმეტყველთა, ღირსი გახდა ზეგარდამო ხილვისა, როგორც ძილის დროს, ისე ცხადათ. მან ზედმიწევნით და საკვირველის სინამდვილით წარმოხატუა წინათვე, რაც უნდა მოხდენილიყო შემდგომში, ალექსანდრე მაკედონელის დროს.

კით. ვინ იუჟნენ დანიელის ამხანაგები?

მიკ. დანიელსა ჰყვანდა სამი ამხანაგი: ანანიას, აზარია და მისაილ. ესენი იუჟნენ შთამომავლობით ებრაელნი, თაყვანისცემდნენ ჰემძარიტსა დმერთსა და მხოლოდ მას მსახურებდნენ ლოცვითა და ვედრებითა. ბაბილოვნის მეფემ უბრძანა მათ, რომ მის კერძებს მსხვერპლი შესწირონ, მაგრამ ამასედ ისინი თანახმა არ გახდნენ. ამისთვის შთაუარეს ისინი საკირეში, მაგრამ დაცულნი დუთისა-სამიერ საკვირველითა სახითა გამოვიდნენ იქიდგან სრულიად უვნებელი და თაყვანისცემდნენ

დძეროსა, რომელიც იდიდების წმიდათა შორის
თჳსთა.

მეექვსე ჰერიოდი.

ბაბილონის ტყვეობიდან ქრისტეს

შობამდინ 606 წ.

კით. ისტორიაში რა შემთხვევას უწოდებენ ბაბილო-
ნის ტყვეობად?

მიგ. ბაბილონის ტყვეობად ისტორიაში უწოდებენ იმ
შემთხვევას, როდესაც იუდეანნი გარდასასლეს
ურიასტანიდგან სხუა და სხუა მხარეს ბაბილონის
ქვეყანაში.

კით. როგორ მდგომარეობაში იუვნენ იუდეანნი ტყვე-
ობის დროს?

მიგ. თუძცა ტყვეობის დროს იუდეანთ ჰყვანდათ თა-
ვიანთი მსაჯულები და მმართველობდნენ თავიანთი
სჯულებით; მაგრამ მაინც იუვნენ ბაბილონის მე-
ფეების ბძანებლობას ქვეშ, და იუვნენ სძირად მათ

მიერ გატაჯულნი და შეიწროებულნი. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი 70 წელიწადს.

კით. ვინ მისცა ნება იუდეანთ უკან დაბრუნებისა თავიანთ მამულში?

მიგ. სპარსეთის მეფემ კიროსმა მისცა ნება იუდეანთ უკუნძოქცევისა თავიანთ მამულში ზორობაბელის წინამძღვრობით; აგრეთვე ნება მისცა, რომ აღაშენონ ტაძარი და გასამშვენებონ ქალაქი იერუსალიამი; მაგრამ ამ საქმეების აღსრულებას ძალიან უშლიდნენ სამარიტელები. არტაქსერქსი ლონგიმონის დროს ესდრამ და ნეემიამ გამოხატეს ნებისდართვა ხელახლად, რომ წაუვიდნენ იერუსალიამში ეგვიპტის იუდეანებითურთ, რომლებიც კი იეჟენ ბაბილონის ქვეყანაში. ამ მეფემ მისცა მათ ნება და ფულებიც ქალაქის უფრო გასამშვენებლად. ესდრამ და ნეემიამ ისარგებლეს მისი შემწეობით და აღაშენეს საერთო სახსნები და გარემემოავლეს გალავანი იერუსალიამს.

კით. ვისი ქვეშევრდომები შეიქმნენ იუდეანნი თავის მამულში დაბრუნების შემდეგ?

მივ. წინაპირველად ისინი ექვეშევრდომებოდნენ სწარსეთის მეფეებსა, ხოლო როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრა სწარსეთის სამეფო, იგინი შეიქმნენ მისი ქვეშევრდომნი; ხოლო შემდგომ ალექსანდრეს სიკუდილისა იგინი ემონავებოდნენ სან ეგვიპტის და სან სირიის მეფეებთან.

კით. როგორ მოეპყრა ალექსანდრე მაკედონელი იუდიანთა?

მივ. ალექსანდრე მაკედონელმა, როდესაც დაამარცხა და დაიპყრა აღმოსავლეთის სამეფოები, მიახწია იერუსალიმამდინ და სრულიად აოხრებას უპირებდა; მაგრამ როდესაც მღჳდელმთავარმა უპყენა მას წინასწარმეტყველობა მის გამარჯვებაზედ და დიდებაზედ, მაშინ ალექსანდრემ შესწირა მსხვერპლი ღმერთსა იუდეანთასა ტამარსა შინა იერუსალიმისსა და ხაღისსაც ფრიად მოწყალებად მოექცა.

კით. როგორ ეპრობდნენ იუდეანთ ეკვიპტის მეფენი?

მიგ. როდესაც იუდეანნი ეკვიპტის მეფეების—ჰტოლ-ლომეებთ ხელში მთავრდნენ,—მწავალს შეიწროებას ითმენდნენ მათგან ხშირად: ჰტოლომეილავმა ტუვით წაიყვანა ეკვიპტეში 100,000 იუდეანი. მაგრამ ჰტოლომეი ფილადელფი მოექცა მათ მშვიდობიანათ და თავმდაბლად: მან უბრძანა სამოცდაათ მთარგმნელთა, რომელნიც მღუდელმთავარმა ელვასარმა წარგზავნა იერუსალიმიდგან, რომ გარდმოიღონ დაბადება გბრუელი ენიდგან ბერძნულსად. ხოლო როდესაც კი იუდეანნი მთავრდნენ სირიელთ მმართველობის ქვეშ, მაშინ იძულებულ იყვნენ ეყვანანირი შეიწროება მოეთმინათ სულგრძელებით.

კით. როგორ ექცეოდა იუდეანთ სელევკ ფილავანტორი?

მიგ. სელევკ ფილავანტორმა როდესაც გაიგო, რომ იერუსალიმის ტაძარში არის მწავალი ოქრო და ვერცხლით, გაგზავნა ილიოდორი, თავის

საღაროთსუცესი ანუ ხასინადარი, რომ გამო-
სიდოს სულ იქ დაცული საუნჯე; მაგრამ ილი-
დორი ამ უკეთური ჰასრის აღსრულებამდინ,
რადაც საკვირველის სეგარდამო ძალით იმ კვა-
რად შეიკრა, რომ ძლივსღა გარდარჩა ცოცხალი,
და მაშინვე უკანვე დაბრუნდა ცარიელი.

კით. როგორ ეძცოდან იუდეანთა ანტიოქ ეზიფანე?
მიგ. ანტიოქ ეზიფანემ განცარცვა ქალაქი იერუსა-
ლიმი, გარდააქცია ჰემმარიტის ღმრის ტამარი
კერზების სამსხვერზლოდ, აგრეთვე ამასინჯებდა
და ხოცდა ეველას, ვინცკი წინააღუდგებოდა
იმის ბრძანებას. ამ დროსვე მოწამეობით დაასრულა
თავისი სიცოცხლე ძღუდედამთავარმა ელიასარ-
მა, რომელიც იყო თავის დროს პირველი მწი-
გობარი და კეთილმსახური მოხუცებული. ამ
მოწამეობის სახითვე დაიხოცნენ შვიდნი ახად-
გასდა მძანი—მაკაბელნი თავიანთი დედითურთ;
რადგანაც მათ არა სურდათ სამშობლო მამულის
სჯულს გარდასუღიევენ და წარმართთ სარ-

წმუნოებას მიჰყოლივენ, ამისთვის მოითმინეს უმძვინვარესნი ტანჯვანი და სიკვდილი.

კით. ვინ აღუდგა წინა ანტიოქს?

მიგ. მატათიან, იუდეანთ მღჷდელი. ის გაიქცა მთებში, შეჰკრიბა გაფანტულნი იუდეანნი და წინა-აღუდგა სირიელთა. აქცევდა ყოველგან კერძების სამსხვერწლოებს და განაახლებდა ჭეშარიტის ღჷთის-მსახურებას.

კით. რა საქმეები მოახდინა იუდა მაკაბელმა?

მიგ. მან ცოტაოდენი ჯარით განუანტა უძრავლესი ლაშქარი სირიელთა. აიღო ქალაქი იერუსალიმი და განწმიდა მტრებისაგან; განაახლა იერუსალიმის ტაძარი, რომელიც განცარცვეს წარმართთა. აკურთხა რა იგი დიდის დღესასწაულობით, მოიუგანა ადრინდელ წესიერებაში ღჷთის-მსახურება.

კით. რა საქმე შეეძინა ანტიოქს?

მიგ. ანტიოქმა, გაიგონა რა თავისი ჯარის დამარცხება, მერე თითონვე გაეშურვა უძრავლესის ჯარით იუდეანთ დასაზერობელად, სურდა სრულიად

გაეწევიტა იმათი სახსენებელი დედაძიწის ჰირიდ-
გან; მაგრამ მოგსაურობის დროს ის ძრეელ ავით
გახდა, რომლისგამო ანტიოქმა იწმუნა ჭე-
შმარტი ღმერთი. ამის შემდგომ იგი კიდევ
ჰირიდებოდა იუდეანთ, რომ აღადგენს მათ დაცე-
მულ სამეფოს, შეამკობს ტაძარს, დააჯილდოებს
ღარბთა უხვითა ნიჭებითა ანუ საჩუქრებითა, და
თითონ მიიღებს ურიათ სარწმუნოებას; მაგრამ
სიკუდილმა მოსწო იმის განსრახა.

კით. იუდამ კიდევ განაგრძო რძი ანტიოქი ეზიფანეს
სიკუდილის შემდეგ?

მიგ. იუდა მაკაბელმა მრავალჯერ დაამარცხა ეზიფანეს
ძის ანტიოქ ევზატორისაგან წარგსავნილი ჯარები
მასთან საომრად. მართლა რომ ღმერთი ეწეოდა
მას სეგარდამო ყოვლადშემძლებელთა ძალითა,
ასე რომ ევზატორი იძულებულად იყო, რომ იუდას
შერიგებოდა. დიმიტრი სოტერმა, ევზატორის
მოძღვენომ, გამოგსავნა იუდასთან საომრად
უძრავლესი ჯარი. ამ გმირს ევანდა ძნლოდ 2,000

მხედარი, რომელითაც შეეშინდათ და იულტოდნენ
ომიდგან, დარჩნენ მხოლოდ 800 კაცი. ამ მცირე-
რედის ჯარით გავიდა და შეება სირიელთა, ომ-
ობდა მთელი დღე, და უკანასკნელ შემოერთე-
ნენ რა სულ გარეშემო მტრების ლაშქარი, მო-
იწვევდიეს იუდა შუაში, სადაც მოკუდა თითონაც
სხუათა შორის. იუდეანთ ჯერ დიდი ხანი იულო-
ვეს გარდაცვალება ამ შეუზოვარი მხედარისა, მერე
დაასაფლავეს მის წინაწარმ საფლავებთა შორის.

კით. ვინ დადგა იუდა მაკაბელის შემკვიდრედ?

მიგ. იუდას სიკუდილის შემდეგ სირიელთა ეომებო-
დნენ და გამკებლობდნენ იუდეანთ შორის იონა-
თან, სვიმონ და იოანე გირქანი, მე მისი.
ამ უკანასკნელი იოანე გირქანის შთამამავლობა
განაგებდა ურთასტანში იმ დრომდინ, ვიდრე ირო-
დი იდუმელი რომის კეისარმა აკვისტომ არ
განამწესა იუდეანთ მეფედ. ამ უცხო ტომის მეფის
დროს, როდესაც წინასწარმეტყველებისამებრ ია-
კობისა სკიპტრა მოეღო იუდას შთამამავლობას,

ესე იგი, შეწუდა შთამამავლობა იუდეანთ მეფობისა,
მაშინ იშუა აღთქმული მესსია იესო ქრისტე, მე
ღუთისა, მაცხოვარი სოფლისა.

ახალი აღთქმის

ეპიკლეზის ისტორია.

მეშვიდე პერიოდი.

ქრისტეს შობიდან განვრცელებამდინ
ქრისტეანობრების სარწმუნოებისა მო-
ციქულებთა მიერ სხვადასხვათა მხა-
რეთა ქრწენისათა.

კითხვა. სად იშუა უფალი ჩვენი იესო ქრისტე?

მიგება. იესო ქრისტე მაცხოვარი სოფლისა იშუა ქა-
ლას ბეთლემს, ურიათ მეფის იოროდის ძეგლო-
ბელობის დროს, ქალწულისაგან მარიამისა, რო-
მელიც იუოდანიშნული იოსებზედ, იმ გვარად, ვი-
თარცა წინათ აუწევს მასზედ წინასწარმეტყველთა.

კით. ვის ეუწუა ზირველად იესო ქრისტეს შობა?

მიგ. ბეთლემის მწყემსთა ჰსცნეს ზირველად იესო

ქრისტეს შობა ბეთლემს ურიასტანისასა, ანგელოზისა მიერ, რომელიც მოეუღინა მათ ზეცით. ამ ანგელოზთანვე გამოსცხადდნენ ძრავაღნი ძალნი (ანგელოზნი) ზეცათანი და გალობდნენ: “დიდება ძაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა,,. მსწრაფლ ამ ხილვის შემდგომ მწყემსნი დაუყოვნებლივ წარვიდნენ ბეთლემს, ჰხრვეს ერთს გამოქვაბულში — ბაგაში მწოლარე ერმა იესო და დედა მისი მარიაჲ. რვა დღის შემდგომ შობილგან იესო იქმნა წინადაცვეთილ სჯულისა მეზს ურიათასა და ეწოდა სანუელად იესო; ხოლო მეორმოცე დღეს კიდევ მოიუგანა მარიაჲჲ ტაძრად, ჩვეულებისა მეზს ურიათასა.

კით. კიდევ ვინ მოვიდნენ იესო ქრისტეს თაყვანისსაცემლად?

მივ. რავდენიმე ხნის შემდეგ მოგვნი ანუ აღმოსავლეთის ბრძენნი, (ვარსკვლავთ მრიცხველნი) მოვიდნენ ბეთლემს იესო ქრისტეს თაყვანისსაცემ-

ლად და მოართვეს ძღვნად: ოქრო, მური და გუნდრუკი. მოკვებს წინაშეაღმართ ვარსკვლავი, უეჭველია, რომ ის იყო არა უბრალო ანუ ჩვეულებრივი, არამედ უნიუთო და საკვირველებითი. ამ გვარ ვარსკვლავის გამოცხადებაში აღმოსავლეთისაკენ შენიშნეს მოკვთა, დიდი რამ ამბავის მოსწავება, და წამოჭყვნენ მის მოძრაობას, რომელიც უკანასკნელ დაბდა იმ ალავს, სადაც იყო იესო ქრისტე.

კით. ვინ ასტეხს დევნულება იესო ქრისტეზედ ფიცხლავ მისის დაბადების შემდეგ?

მიგ. იროდი, ურიათ მეფემ. მოკვნი მოვიდნენ ჰირველათ იერუსალიმში და კითხულობდნენ იესო ქრისტეს დაბადების ალავსა: “ჩვენ ვნახეთ, ამბობდნენ ისინი, იმისი ვარსკვლავი აღმოსავლეთისაკენ,,. იროდი შეძრუწუნდა, ეკონა სამეფოს წაართმევდა მას იესო ქრისტე, ვითარცა მოძავალი მეუფე ურიათა. ამისთვის ბრძანა მან გაწვევა ერძათა, ჭასაკით ორის წლისა და ნაკ-

ლებ, ბეთლემში და იმის გარეშემო ურიასტანის
ხლავებში, ჭუიქრობდა ვითომც ქრისტეც იმათ-
ში მოჭყუებოდა.

კით. რა ნაირათ გადაჩხა იესო ქრისტე იროდის დე-
ვნულებას?

მიგ. ანკელოსი გამოეცხადა იოსებს, და უბრძანა
მას, რომ წაიყვანოს ერმა იესო და დედა მისი,
და წავიდნენ ეგვიპტეში; ხოლო იროდის სიკ-
ვდილის შემდგომ კვალად გამოეცხადა ანკელო-
სი იოსებს ეგვიპტეში და უბრძანა უკანვე დაბ-
რუნება იქიდგან. ამ სახით იესო ქრისტე გა-
დაჩხა იროდის დევნულებას. როდესაც მოვიდ-
ნენ ეგვიპტით იოსები და მარიაში და მოიყვან-
ეს თანა იესო, — მაშინ დაესახლნენ გალიიის
ქალაქში — ნ ა ს ა რ ე თ შ ი .

კით. როგორ ატარებდა იესო ქრისტე თავის სი-
ცოცხლის ჰირველ წლებს?

მიგ. ჰირველს წლებს ატარებდა იესო ქრისტე თავის
მშობლების სრულს მორჩილებაში. მეთორმეტე

წელიწადში რომ გარდახდეს, მშობელთა წაიყვანეს ისა იერუსალიმში ჰასექის დღესასწაულზედ, ის შევიდა ტაძარში საუბროთა მწიგნობრებთან და სჯულისმძღვრებთან, და ვეკლანი გააკვირვა თავის ცოდნით.

კით. რაუდენ ხანს ჰსცხოვრებდა იესო ქრისტე დაფარულად.

მიგ. იესო ქრისტე სცხოვრებდა დაფარულად ოცდაათ წლამდინ, იმ დრომდინ ვიდრე იოანე წინამორბედი გამოცხადდებოდა მდინარე იორდანის კიდევებზედ, მქადაგებელი სინანულისა და ნათლისმცემელი ეოვლისა სულისა, ვინც კი ისურვებდა ნათლისღებას. იესო ქრისტემაც ნათელი იღო მისგან. მის ნათლის ღების დროს სული წმიდა გარდამოვიდა ზეცით ტრფდის სანით და ისმოდა ხმა მეტყველი: ესე არს მე ჩემი საუკვარელი რომელი მე სათნო-ვიყავ.

კით. სად წავიდა იესო ქრისტე შემდგომ ნათლისღებისა?

მოდურება

დღესა ქრისტეს ფერისცვალებისა.

“გამოგვიბრწყინვე ჩუხნცა ცოდვლთა
ნათელი შენი მიუაჩრდილებელი,, (ტროპ.
დღესასწ.)

დღესა ამას, მართლმადიდებელნი, წმიდა ეკლესიის ჩვენი დღესასწაულებს ფერისცვალებასა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენი იესო ქრისტესსა, რომელიცა, ვითარცა გესმათ წარკითხულისა აწ სახარებისაგან, მოხდა ესრეთ: ერთხელ უფალმან იესო ქრისტემან, დროსა ქვეყნიერისა ცხოვრებისა თჳსისასა, წარიუყანა სამნი უსაყურელებნი მოწაფენი თჳსნი: ზეტრე, იაკობ ჭ იოანეს და აღიუყანა იგინი მთასა მალალსა თაბორს — ლოცუად, და აქა დროსა ლოცვასა ფერისცვალა წინაშე მათსა: — ზირი მისი განბრწყინდა ვითარცა მზე, ხოლო სამოხელე მისი იქმნა სვეტაკ, ესე იგი, თეთრ, ვითარცა თოვლი; მასვე უამსა წარმოხდგნენ წინაშე მისა ზეცით წინასწარმეტყველნი მოსე და ილია, და დრუბლით გაძო, რომელიცა აგრილობდა მათ ყოველთა, ისმა სმა ღმრთისა მამისა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი ძე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ...”

ქრისტეანო! რაღსათჳს მაცხოვარმან ჩვენმან აჩვენა მოწაფეთა თჳსთა დიდება თჳსი ფერისცვალებასა შინა? მისთჳს, რათამცა მათ

გულისხმა-ყოთი მისი ნებნით ვნება და დადგრომილ იყვნენ შეურ-
ეველად სარწმუნოებასა ზედა და სიყვარულსა მისა მიძარბთ და არა
შეორგულეულები იყვნენ იმა დამდაბლებითა, რომლისა მიღება მას
მალიად ეგულეობდა ცხოვრებისათჳს კაცთა ნათესავისა. რაჲსათჳს
წარმოუდგნენ მას წინასწარმეტყველნი მოხუ და ილია? უმეტესისა
განმტკიცებისათჳს უფლისა მოწათგეთა სარწმუნოებასა შინა მისა მი-
ძარბთ; წმიდანი წინასწარმეტყველნი მოწმობდნენ, რომელ მოძღუ-
რი მათი არს შემოქმედი და აღმასკებელი სჯულისა და წინასწარ-
მეტყველთა, რომელ მას, ვითარცა ღმერთსა, მსახურებენ სჯული
და წინასწარმეტყველნი.

გ ა მ ო გ ვ ი ბ რ წ ყ ი ნ კ ე ჩ უ ლ ნ ც ა ც ო დ კ ი ლ თ ა ნ ა თ ე ლ ი
შ ე ნ ი მ ი უ ა ჩ დ ი ლ ე ბ ე ლ ი, ნ ა თ ლ ი ს ა მ ო მ ც ე მ ე ლ ო უ ფ ა-
ლ ო! ს ა ყ ვ ა რ ე ლ ნ ო შ ე ი ლ ნ ო! და ს ჭ კ ე ნ ე ბ ა და შ ე მ დ გ ო მ ს რ უ ლ ი ა დ გ ა ნ-
ს მ ე ბ ა ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი ა ნ უ მ ც ე ნ ა რ ე რ ო მ ე ლ ი ც ა ყ ო ვ ე ლ თ ჳ ს შ ი თ ე ბ ა ს ი ბ-
ნ ე ლ ე ბ ა შ ი ნ ა, ე გ რ ე თ ე ე ა რ ა ს ც ხ ნ დ ე ბ ა, ა რ ა მ ე ლ წ ა რ ს წ ყ მ დ ე ბ ა ი ს
ს უ ლ ი, რ ო მ ე ლ ს ა რ ა ა ბ რ წ ყ ი ნ კ ე ბ ს ნ ა თ ე ლ ი ქ რ ი ს ტ ე ნ ი, რ ო მ ე ლ ს ა
ა რ ა რ ა ს ა ზ ა დ ა ა რ ა ა ქ უ ს კ ა ნ ო ნ ი ე რ ი გ უ ლ ი ს ხ მ ი ს ყ ო თ ე ა, და მი-
ი ლ ე ბ ს ს ი ც რ უ ე ს ა ჭ ყ მ მ ა რ ი ტ ა დ, ს ო ლ ო ჭ ე მ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს ა ღ ჭ-
თ ი ს ა ს ა გ ა რ დ ა ს ც ვ ლ ი ს ს ი ც რ უ ე ლ (რ ო მ. 1, კ ე).

მასა ჩვენ რა უნდა ვუქმნათ, ძმანო, რათა გამოგვიბრწყინოთ
მარადის მყოფი ნათელი თჳსი ნათლისა მომცემელმან უფალმან
ჩვენმან იესო ქრისტემან? ჩვენ უნდა გვიყვარდეს ნათელი ესე, და
დაუმორჩილნეთ თჳსი თჳსნი ცხოველ-მყოფელსა მისსა მოქმედებასა.

ესრეთ, ძმანო, რათა ნათელისა-მომცემელმან განანათლოს გულ-
ნი ჩვენნი ნათლითა თჳსითა, რომელიცა ეხოდენ საჭირო არს ჩვენ-
და ჩვენისა ცხოვრებისათჳს, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ნათელი ესე და
ვმონებდეთ მას; წინააღმდეგს შემთხვევაში არა თუ არ განგვაბრწყი-
ნებს ჩვენ იგი. არა თუ არ განანათლებს დაბნელებულსა გონებასა
ჩვენსა, არა თუ არ აწარმოებს ცხოვრება შემოხილსა თჳსსა მოქ-

მედებსა ხუთთა შინა ჩვენთა, ანამედ წინააღმდეგ შთაკვავდებს ჩვენ
იმ სასჯელში, რომლისათვის ესრეთ იტყვს გულთაღმნილგული უიფა-
ლი: “ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფ-
ლად, და შეიფარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი,
(იოან. 3, ით). სასიწმინდო და დასჯის ღირსიცა გულ-
გრილობა ნათლისადმი. ნუ გამოვიპყლოთ მისთვის, თუ სა-
იდგან წარმოდგება ეს გულგრილობა ნათლისადმი, თუმცა ამ-
ხედ ამბობს ნათლისაღმცემელი: “ყოველი, იტყვს იგი, რომე-
ლი ბოროტსა იქმნეს მისთვის და არა მო-
კალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი; სო-
ფო რომელი იქმან ჭკმაროტებსა, მოკალს ნათლად,
რათა ცხად იყუწნეს საქმენი მისნი, რამეთუ ღმერთი-
სა მიერ ქმნულარისა (იოან. 3, კ. კა). მოკალს ნათლისა-
დმი, განბრწყინდება მის მიერ, ეზიარება მისსა ცხოვრებას შემო-
ხილსა ძალსა და სცხოვრდება მის მიერ.

ღ ესრეთ ნუ გამოვიძიებთ, შეიღწო, მომეტებულად მისთვის,
თუ საიდგან არს კაცთა შორის გულგრილობა ნათლისადმი, ნათ-
ლისადმი ქრისტესსა, მამა სადამე ნათლისადმი ცხოვრება შემოხი-
ლისა; ანამედ განვიხილოთ მისთვის, თუ სად არის შესლული, ანუ
შეგრძობული ეს ნათელი; სად არის იგი ესრეთ გამოცხადებულ,
რომელ უცთომელად შესაძლო იყოს მისგულად მისდა, ზიარებად
ძალსა მისსა, — სად არის გამოცხადებულ და სად ბრწყინავს იგი ეს-
რეთ, რომელ შესაძლო იყოს გარბვა მისი ტყუილისა და წარმა-
წყედელისა ნათლისგან, რომელსა შეიძლოს შეცვლილი ანგელოზად
ნათლისა, ხული სიბოროტისა, ესე იგი ეშმაკი, განმავრცელებული
ხულიერისა ხიბულისა და შურისა პირისპირ ჭკმაროტისა ნათლი-
სა? ესეცა ქმნულ არს ნათლისაღმცემელისა მიერ: ცხოვრება შე-
მოხილი ნათელი მისი ესრეთ შეგრძობულია, რომელ ყოველთა
შეუძლიანთ ხილვა მისი და შეევაარება: განცხადებულ არს ესოდენ,

რომელ ყოველთა შეუძლიანთ მიხვდა მისდა; ესრეთ მისაწოდებულა, რომელ ყოველთა შეუძლიანთ ეზიარონ ძალსა მისსა და სცხოვნდენ მის მიერ. ხოლო ხად შეუზღუდავს ნათლისმოდცემელსა ესრეთ ნათელი თჳსი? წმიდასა შინა ეკკლესიასა თჳსსა, რომელიცა მისთჳს მან ესრეთ მტკიცედ დაამყარა, რომელ ბჭენი ჳოჯოჯოთისანი, ესე იგი—ვერა რომელიმე მტერისა ძალნი, ვერ ერეოდენ მას (მატ. 16, 18). მართლმადიდებელსა ეკკლესიასა შინა ბრწყინავს ნათელი ქრისტესი, ჳ განანათლებს ყოველთა მისდა მოძვალთა. იგი, სიტყუსა მებრ წმიდის მოციქულისა ზაველსა, იცავს რა თჳს შორის ყოვლითა სინრულითა და სიწმიდითა ყოველსა წიგნსა ღმთიკახულიერსა და სარგებელსა სამოდღურებელად და სამსილუბელად და განსამართლებელად, და სასწავლელად სიმართლისა, რათა სრული იყოს ღმთისა კაცო იგი, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ (ბ ტიმ, 3, 16, 17). არს სკეტი და სიმტკიცე ჳეშმარტებისა, (ს ტიმ, 3, 15). იგი იცავს თჳს შორის ყოვლითა სინრულითა და სიწმიდითა და განავრცელებს იმს სწავლასა, რომელი შემდლებელ არს განგრძნობად კაცისა ცხოვრებისათჳს სარწმუნოებოთა ქრისტე იესოსითა. (ბ ტიმ, 3, 15). ღმერთმან მიანიჭა მას ძალი და ვის შეუძლიან მისტაცოს იგი მას? ამავე ძალისაგან, რომელიცა ძალადმან მიანიჭა მართლმადიდებელსა ეკკლესიასა, წარმოდგება ისა, რომელ საქმოდე არიან და იქმნებიანცა, მას შინა ვიდრე დასასრულადმდე ქვეყანისა მსახურნი ქრისტესნი და მხენი საიდუმლოთა ღმთისათანი, რომელთა მიერ კაცი ახლად იშობება სულიერსა შინა ცხოვრებასა და სრულექმნება მას შინა—განათლდება და სცხოვნდება. “ესრეთ შემრაცხენი ნვენ კაცმან, იტუვის მოციქული ზავლე, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი, და მხენი საიდუმლოთა ღმთისათანი, (ს გორ, 4, 1). და ეს-

რეთ, ქრისტიახენო! უკეთუ გვხუროს, რათა ნათელი ქრისტესი მოქმედებდეს ჩვენ შორის ყოვლითა თხებითა ცხოვრებაშემოხილლითა ძალითა, რომელი განგვანათლებს და წმიდა გუგოფს, რათა არ გვეწიოს ჩვენ ბნელი (იოან. 12. 35); მამა შევიუარეთ ესე ნათელი, მიუდრეკელად დავემონეთ მისსა მოქმედებასა, განცხადებულსა მართლ-მადიდებულსა ქრისტეს ეპიქიასა შინა წინა წარვიძღუანეთ ესე უტყუებელი ნათელი, რომელი ბრწყინავს ბნელსა ადგილსა შინა ქვეყანისსა, რათა ძთიები ცხოვრებისა აღმოებწყინდეს გულთა შინა ჩვენთა. ამინ. (*)

მღწეული გრიგორი ღამბარაკი.

(*) თქმული 6 აგვისტოს 1864 წელსა.

ს წ ა კ ლ ა,

ყოვლადწმიდა ღმრთისაძმობლის მიძინების დღესა.

აწინდელსა დღესა კდელსასწაულთ მიძინებასა ყოვლადწმი-
დასა, დიდებულისა დედოფლისა ჩუწნისა ღმრთისაძმობლისა, და
ძარადის ქალწულისა ძარამისასა. ოდეს ქრისტეს მოციქული, და
ეგრეთვე სხუანთა მოწმუნენი შეკრბნენ გოთსამანიასა შინა — მას
ადგილსა, სადაცა გარდაცვალებადიყო დედა ღმრთისა, — მამინ იგი-
ნი ერთითა გულითა და ერთითა სმობითა ეკედრებოდნენ, რა-
თამცა მან არ დაუტოებს იგინი ობლად. — მამინ თუთ ღმრთისაძმო-
ბელი უბრძანებდა მათ — ნუ სტირითო, არამედ მოხარულადიყავით ჩე-
მის მიცნებასათხსლო; ამისთჳს რომელ რადგანაც იგი წარსდგუ-
ბოდა წინაშე საყდრისა ღმრთისა მასობლად, უფრო ადვილად შე-
აკედრებდა იგი მათ უფალსა. ამასთანავე მან დააწმუნა იგინი,
რომელ შემდგომ მიცნებასაცა არ დაუტოვებს მათ ობლად, ჳ
არათუ მხლოდ მათ, არამედ თუთ მრთელსა ქუწყანასა სმიწად
ინილავს, დაიცავს და გკთილს უყოფს. შემდგომ მიცნებასათ-
ხისა ყოვლადწმინდა ღმრთისაძმობელმა ამგვარი ათქმის მწრათ-
ლად დაუძტვიტა ყოველთა; იმავე დროსა მოციქული თომა გერ და-
ესწრო ღმრთისაძმობლის დასათვლავებასუდა, ჳ ოდეს მოვიდა იგი
იერუსალიმსა შინა, იწყო ურგა ჳ მწუხარება, რომ გერ ედინსა
იგი ღმრთისაძმობლის დასათვლავებაში მონაწილეობის მიღებასა, — და

მოინდომს ხილვა ყოვლადწმიდისა გუჱმისა, რომელიც იყო მას უამსა მღებარე სათლავსა შინა; იმავე დროსა ერთად მოციქულუბითაერთ მოვიდა იგი გეთსამანიაში, სადაცა დათლულაიყო გუჱმისა ღუთისაშობლისა, გარნა არღა ჭზოვა გუჱმისა ზეციერის დედოფლისა. წარმოვიდგინათ ჩუჱნ, რაკვარად მწუხარე იმნებოდა მოციქული თომა, — და რაკვარად განკვირვებულაქმნებოდნენ თუთ მოციქულნიცა, რადგანაც ვერღა ჭზოვენ გუჱმისა ღუთისაშობლისა სათლავსა შინა. გარნა, მსმენელნო! ყოვლადწმიდა დედოფალი, ამალღებული ზეცად, შემდგომად მიცუჱლუბისა, ყოვლადწმიდითა სოცითა თუხითა, ეხვენა მოციქულთა დროსა ზურისაჭამისა მათისასა, მისცა მათ მშუდობა ჭ გურთხევა, ჭ აღუთქვა მათ სამარადისო მოარველობა, ჭ ეგრეთვე ყოველთა კაცთაანათესავსაცა.

ესგვარი მოარველობა, ქრისტიანენო! შემდგომ ამისა მრავალთა ინილეს თვალითა თუხითა. ერთსა დროსა წმიდამან ანდრია სალახმან ჭ მოწათემან მისმან ეზითანემ დროსა ღამისთეკით ღოცუსასა კონსტანტინეზოლს ვლახერნის ეკლესიასა შინა ინილეს თვალითა თუხითა ყოვლადწმიდა ღუთისაშობელი ჭაკრში, რომლისათანა იუჱნენ გუნდნი ანგელოხთანი, მთავარანგელოხთანი ჭ სხუათა წმიდათა; ინილეს, რომელ ქალწული დედა ღუთისა აძლევდა მოარველობასა მოწმუნეთა ზატოხნითა სამოხლითა თუხითა, ჭ ილოცუდა ყოველისა ქრისტიანის სათესავისათუხ.

ქრისტიანენო! ჩუჱნ ვუწყით წარსრულის დროებიდამა, რომელ მრავალთა წინაზართა ჩუჱნთა, საქარულეს ქრისტიანეთა, დროსა მწუხარებისასა გამოხცხადებიათ დედა ღუთისა, ჭ ცხადად უჩუჱნებია მათათუხ თავისი მოარველობა ჭ განუმოხებელი შემწეობა, — ოდესმე დროსა ბრძოლისასა, სადაცა უკუქცეულან სირცხვილუელნი მტერნი მათნი, — ოდესმე დროსა მომსვრელისა სენისასა, ჭ განქარვებულა სენი იგი, ჭ ოდესმე სხუა ჭ სხუა გვართა შეწროებათა ჭ მწუხარებათა შინა.

ყოველდღეობა ღმრთისმშობელი, როგორც ძველსა დროსა ში-
ნა, ეგრეთვე აწინდელსა უამხაცა გვიჩვენებს ჩუქნ მორწმუნეთა &
მისდა მიღტოლუილთა შემწეობასა თვისსა. დედა ღმრთისა, შემდგომ
მიტყალებისა თვისისა, არის მარადის შუამდგომელი ჩუქნი წინაშე
ღმრთისა; იგი მდგომარე არის მარჯუქნით ღმრთისა ფრთად ბრწყინ-
ვალითა სამონღითა, რომლითაცა ჭოვარავს ყოველსა მორწმუნესა &
მხურვალედ მოხრეულსა შემწეობისა მისისასა. გეცადნეთ ჩუქნცა წმინ-
დითა გულითა & სულითა დაახლოებასა მისთანა. უკეთუ რდესმე
შეგვაიწრებდეს რადმე, მაშინვე მივიგლოდეთ ღმრთისმშობლისადმი:
ის არის შემწე & მოვარნელი ქრისტიანეთა, & განსაკუთრებით სა-
ქართველსა, რომელიც არის წილადომილი მისი მხარე, ისევ
დღიდგან ქვეყნიერისა ცხოვრებისა მისისა, — & იგი მარადის იქმნე-
ბა განუყრელად ჩუქნთანა, & გვიჩვენებს თვისსა შემწეობასა. ამინ!- (*)

მღუდელი იოელ ხატოკი.

(*) თქმული 15 აგვისტოს 1864 წელსა.

გეთილმსახური მწერლობა ღავით მეფისა აღმაშენებელისა.

უკველია, ყოველს ქართულს, ვინც კი იცის ცოტადენი ისტორიის თავის ქუჩებისა, გაუგონია დიდი ქება ღავით მეფისა აღმაშენებელისა, — ღ ღირსიც არის იგი ყოველგვარისა ქებისა ღ მადლობისა ჩუქნგან. ის არის უზირველესი მნათობი საქართულად მსახურების საქმითა ღ ქრისტიანობრივის გეთილმსახურების განსაცვიფრებელითა ღუაწლითა, რადსათვისცა მიანიჭა მას ღმერთმან მადლი არა მხოლოდ წმუნებულისა მისდა სამეფოსა თორიდ შემკობისა, განშვენებისა ღ ამადლებისა, არამედ სასწაულადმოქმედებისცა, ღ ჭყო იგი მარადის მუხად ჩუქნდა ზეცათა შინა, ვითარცა ღიღუბული მისამიერ ღ დამკვიდრებული წმიდათა შორის მისთა. — (*) მაგრამ, ვგონებთ, არა ყველამ იცოდეს, რომ ეს წმიდა ღ გეთილმსახური მეფე ღავით აღმაშენებელი, ყოფილა ერთი უწარხინებულესთა საქართულად მწერალთაგანი იმ ტკბილად მოსაგონისა დროებისა, როდესაც მნათობდა იგი ქუჩყანასა ზედა, ვითარცა მწკ. ვამბობთ ამას არათუ მისათვის, ვითომც ჩუქნ აღმოვაჩინეთ რომელიმე დიდი თხზულება წმიდისა მეფისა, არამედ მისათვის, რომ სასიამოვნო შემთხვევამ გაგვაცნო ჩუქნ ერთი მცო-

(*) იხილე ტროპარი ღავით მეფისა 26 იანვარს.

რე მწერლობა მისი, — ჭ მონაგონებულად ასე სხსნოვრად ესრეთი-
სა წარჩინებულისა ჰიზისა, ჩუჭნის თუქრით, ცოტაც მიიღება ძვირ-
ფასად. — უეჭველი უნდა იყოს ისიცა, რომ თუნიერ ამ ძვირე მწერ-
ლობისა, სხუც იქმნებოდა რამე ნაწერი მისი წმიდა სულითა; მა-
გრამ დროთა ვითარებაძან ჭ საქართველს ვაძითადაჲსადა შოლოთ-
ძან ჭ აღრუილობაძან წარიცაცნეს იგინი, ჭ გვეყნეს ჩუჭნ მოკ-
ლეულ ძვირფასთა საუნჯეთა წიგნთასა, მსგავსად მისა, ვითარცა
დაკარგულად ჩუჭნათეს ვრცელად აღწერილა ცნოვრება წმიდისა და-
ვით აღმამენებულისა. ესრეთი ცნოვრება მისი სამდგომად იზოვე-
ბოდა ერთს იმერეთის მონასტერში, ჭ განსვენებულმა მებგრედიის
მთავარმა — დავით დ ა დ ი ა ნ ძ ი მ ა, მომეტებულისა ქართულთა წიგნთა
სიუჩარხულისაგამო, წაიღო ჭ თითქმის წარიზარა იგი, — ჭ რა უყო-
მას — არავინ იცის. ამ შემთხვევას მწუხარებით ასხენებს თუთ რუ-
ხეთის მწერალი, უ. მ უ რ ა ვ ი კ ე ი, მყოფი საქართველ-იმერეთში.

რა არის ის მწერლობა, რომელსედაც ვიწვეთ ჩუჭნ ეს ლა-
ჰარავი? ის არის “გალობა სინანულისა, თქმული დავით მეფისა
აღმამენებულისაძიერ,, ჩუჭნ გვეხმა აღრევე, რომ ეს საგალობე-
ლი იმთვებოდა ს. სვეტოვრულს, ერთს საქართველს ბატონიშვი-
ლის ოჯახში, ჭ იქიდაძი გარდმოწერიათ ფოგიერთთა დუთის ჭ
წმიდა დავით აღმამენებულის მოყურათა ქართულთა — მამათა ჭ
დედათა სქესისათა. უეჭველია, იქიდაძი იქმნება გარდმოწერილი ის
ტექრადიცა, რომელიც ჩუჭნ გვაქუს ასლა სულში. სოლო ეს მი-
ვიღეთ ჩუჭნ, წარსრულს იგლისის თვეში, გორის სობოროს დე-
განოზის პანტელეიმონ წ ი ნ ა მ ძ დ უ ჯ ა რ ო ვ ი ს ა გ ა ნ ა მ ფედაწარ
წერილობითა:

„ყოფლად პატრიოსანო რედაკტორო გიორგი!

უენ ხარ მომგონებელი სახულიერო ძახარებულისა,
ამერლიმერთა შვილთა ყოველთა განმახარებულისა,

მეც ნება წარმოხადგენად საგალობელის, დავით აღმაშენებელისა,
და დაბეჭდუა მისი ვითხოვო შენგან, დამაშვენებელისა.
ქათალიგოზის ანტონის მზგავსად აღმოხსნდი შენა,
ვით მან შენცა განაკეთილე ქართუწლთა ენა,
ფუტკარის-მებრ ყუავილთათუხ, მარად გხურის ფრენა,
რათა შეგვიბო და ჭყო მრავალთათუხ სიტყბოებისა დენა.
დეკანოზს მოხუცს, მოძღუარსა შენსა, მისარის ესე ყოველი,
თვის განმავლობას მარადის, თხზულებასა შენსა მოველი,
და წარვიგითსაკ გუღითად, დღეგრძელობისა შენისა მთხრველი:
მეც გვეცხ წინაშე ღუთისა ნინა ჯ წმიდა გიორგი მძლეველი.

დეკანოზი პანტელეიმონ წინა მძღუაროვი. “

დასამტკიცებლად ამ საგალობელის ნამდვილად წარმოებისა
დავით აღმაშენებლისაგან უნდა ვსთქუათ შემდგომი:

წმიდა დავით აღმაშენებელი იყო ფრთად განათლებული და
განსწავლული კაცი ქართულს ენაზედ იმ დროებაში, და უმეტეს
ყოველთა უყუარდა მას “სადმოთონი წერილნი, რომელნი იუვენს
მისდა საზრდელ და სახმელ ტბილ და მარადის საწადელ, და რომ-
ელთა ძალი და სიღრმე ზედმიწევნით იცოდა მან,,; ამისთუხ გა-
ნათლებულთა სომესთა, ერთს დიდს ხუჯულის შესახებს შემთხვევაში,
ყოველთა ბრძენთა და მეცნიერთა კაცთა შორის, განკვირვებით უთ-
ხრეს მას: “შენ სარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა
ვერ მიმწუდარ-არაინ მოძღუარ საგონებელნი თქუწნნი,,. — (*) რა
საკვირველისა, ესრეთი ჭეშმარიტი კეთილ-მხასური და მტკიცე ღუ-
თის-მოუწარე კაცი და ამასთანაკვე მეფე, წერილთა ძველისა და ახ-
ლისათა აღთქმისათა ღრმად მეცნიერი, გარნა მცხოვრები ქუწყა-

(*) თქმულობა “ქართლის ცხოვრებისა,, დავით აღმაშენებელზედ.

ნასა ზედა და შორის მოქმედთა უსჯულოებისათა, გაძინატვიდა სულის და გულის მსურველეთა გრძნობათა თვითა სინანულის ლოცუასა და კედრებასა შინა და აღაკლენდა ღუთისადმი, რომელმანცა “დიდებულ-ჰყო იგი სასულისათჳს თჳსისა ბრწყინვალეთა-დამიერ ძლევათა ყოვლად საკვირველთა და ნიშთა-დამიერ საკვირველთა, (*) და აღამაღლა უმეტეს ყოველთა მეფეთა საქართველსათა? შემსურელი და დამდაბლებული სული და გული მისი ცხოველად გრძნობდა განსაკუთრებითა მადლსა და წყალობასა ღუთისასა მის ზედა, და მიივლტოდა ღუთისა მიმართ ცხოველისა და კეთილის-მყოფელისა შეწირვად განსაკუთრებულთა სამადლობელთა მსხვერპლ-თა სულიერთა, ხათნათა და სახიამოვნოთა უფლისათა, მსგავსად თანა-დამსახურისა და მონათესავისა მისისა, ძველისა და ვით მეფისა, თხალმუნთა ძეგლობისა. ესრეთნი განსაკუთრებითნი აზრნი დი ლექსები, შესაბუერნი მსოფლოდ ღუთი-გვირგვინისანისა სელმწიფისა გინა მეფისა, სშირად და ცხადად იხილვებიან ამ ჩუქნ-დამიერ განსიღუფს სინანულის საგალობელში (**). — ვგონებთ, ამის მიზეზით მიეცა ესე დავიწყებასაცა და არ დაიბუჭდა საზოგადო სინანულის საგალობლე-ბში, რომელნიცა იხილვებიან ჩუქნს საეკლესიო წიგნებში, და გან-საკუთრებით გურთხევანში, ამ სასუელით: “ზარაკლისი აღმსარებელსა ზედა, — რადგან ესენი შეესებიან და ეკუთვნიან არა მსოფლოდ მე-ფეთა ჳ მთავართა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთა — მამრთა და მდედრთა. — თუნიერ ამისა, და ვით აღმაშენებელს ექმნებოდა სასემი, ამ გალობის შედგენის დროს, მაგალითნი საბერძნეთის კეთილ-მსა-სურთა და ღუთის-დამუწარეთა მეფეთა, რომელნიცა დიდს სიტკბო-ებსა ჳბრებდნენ სადმერთო და საეკლესიო ლოცვების და საგალობლე-ბის შედგენაში, და კიდევ მრავალნი შეადგინეს.

(*) ტროპ. დავით მეფისა.

(**) იხილე გალობა ა, მ. გ., გალობა გ, მუხლი ბ; გალ. ვ, მ. დ; გალ. ზ. მ. დ; გალ. თ, მ. ბ.

ეს აზრები წარმოგვიდგენს ჩუქს წინა ამ საგალობელის მი-
 ლების და განხილვის დროსა, რომლისა დროსად სიძველესა ენითა
 და ლექსთაწყობილობითა ვერა უარ ყოფს ვერაპითარი ქართულის
 ენის და ისტორიის მცოდნე. — ღმერთმან და წმიდა დავით აღმა-
 შენებელის მადლმან მისცეს ყოველს ქართულს ისრეთი ცოდნა და
 სიუწარული სასულიერო წიგნებისა და თავის ენისა, ვითარცა
 ჭქონია ამ სანატრელს მუიებსა, რომელი “არა დაატდიდა კითხვასა
 მათსა ვიდრე არა დაშვებოდდა; ხოლო შემდგომად სერობისა, ნაც-
 ულად მიღისა ანუ სხვისა რამესამე საქმისა, კუთვლად კითხვასა წი-
 გითასა იწყებდა, და რაჟამს თუაღნი დაშვებოდნენ, ფრთხილად
 ისმენდა წინაშე თვისსა მკითხველისასა, და გამოეძიებდა და განმარ-
 ტებდა ძალსა და სიღრმესა მათსა,, (*)! — ესრეთი სურვილით და
 გრძნობით მიუძღვნი ჭეშმარიტსა თვისსა პატივისცემასა და გული-
 თადსა მადლობასა ყოვლადპატიოსანს დეკანოზს პანტელეიმონს,
 ხოლო ჩუქსნი ყურნაღის მკითხველთა წარმოგზავნილსა მისამიერ
 დავით აღმაშენებელის საგალობელსა, — რათამცა ჩუქსნცა “საქმენი
 თვისნი განვაგნეთ სორციელნი და წარვმართნეთ სულიერნი,,! —

მღუდელი გიორგი სკლიძე.

(*) თქმულობა “ქართლის ცხოვრებისა,, მას ზედა.

მსუდარტ-მთავარი მონაზონი-ქართულში.

წმიდა ათანასი, მეუდაზნოე ათონის მთისა, თუხის კეთილ-მსახურებითა და სასწაულ-მოქმედებითა ისრეთი წარჩინებული შეიქმნა, რომ ყოველი მხრიდგან იწყებს მოხუცა მისს მონასტერსში, არა თუ მდაბალთა და გლეხთა, არამედ თუთ წარჩინებულთა ზირთაცა, და მღუდელ-მთავართა, რათამცა მიიღონ მისგან ჭსწავლა ღმთიუკ-სათნო-ნო-ნო-ნო ცხოვრებისა.

იმ დროს, სხუათა შორის, მივიდა ათონის მთაში ერთი ქართველი თავადი, სასულად თორნიკი, რომელიცა დიდ-სახს ჩინებულად მსახურებდა საბერძნეთის ჯაშქარში, და იყო დიდებული, კითარცა გამრცდილი მსუდარტ-მთავარი. უდაზნოში მეფობამ და ღმთის-მომშიმობით ათონის მთის მონაზონთა ცხოვრებამ მიიზიდა თორნიკი, ესრეთ რომ ბოლოს თუთონაც მოიწადინა მონაზონობის მიღება და განტარება თუხთა დანამთენთა დღეთა უდაზნოს შინა წმიდისა ათანასისსა. საბერძნეთის მსუდარნი დიდ-სახს სწუსდნენ მოცილებისათუხ ესრეთისა გულ-კეთილისა, მსნისა და გამრცდილისა მსუდარტ-მთავრისა.

როდესაც გარდაიცვალა საბერძნეთის იმპერატორი რომანოზ მეორე, და განმგებლობა სასულ-მწიფოებსა ჩააბარეს ქერისსა დედოფალს ზოიას, იმ დროს სზარსთა დაიწყეს დაცემა მახლობელია მათდა საბერძნეთის სამიფლობელითა, და უზირებდნენ აღსრებას

მთელს სახეობის სხეულშიც. ამ ძნელს მდგომარეობაში იმ-
პეტრიცამ არ იცოდა თუ რა ღონისძიება ეხმარა დასამორჩილე-
ბეულ მტერთა და ან ვინ დაეხმარა მხედართმძღვანელებად, და
მოაგონდა თორნიკი: მისი აღმორჩევა ინება მან წინამძღვრად
თახისა დაშქრისა. მაგრამ თორნიკიმ, დამტყვევებელს ყოვლის ქვეყ-
ნიერის ზრუნვისამან, უარ-ჭყო ესრეთი დედოფლის თხოვნა. მა-
შინ ღირსმა ათანასიმ, მრავალთა უფროსთა შერთა და მონაზონთა-
თანა, ჭრქვა მას (ორნიკის): “ჩუწნ ყოველი ვართ შეიღნი ვრთისა
მამულისანი, და ამისთვის ყოველი მოვალე ვართ დავიცვათ იგი.
ყოველთვის მოვალე ვართ ჩუწნ-ვილოცოთ დამორჩილებისათვის
მტერთა, რათა ღოცვითა ჩუწნითა ვხდით მათ; მაგრამ, თუ
უძალესი მთავრობა დაინახავს საჭიროდ და მოითხოვს ჩუწგან
სულთადა ჩუწნთა და გულთა სსოგადო სარგებლობისათვის, —
მამინ ჩუწნ უარისაუთქმელად უნდა დავემორჩილოთ მას. ძმაო სა-
ყვარელო! ვინც წინააღმდეგ ამისა მოიქცევა, იგი განაწიხებს ღმერთ-
სა. თუ შენ არ გაუგონებ მეფესა, რომლისა შირითა გაუწყებს შენ
ნებასა თახსა თუთ უფალი, — მამინ შეიქნები შენ ზახუსისმგებელ
წინამე მისა სისხლის დაღვრისათვის მემამულეთა შენთა, რომელთა
გამოსხნა შეგეძლო შენ, მაგრამ არა ინებე; ეგრეთვე ზახუსს უგებ
შენ უფალსა აღსრებისა და შეგინებისათვის ტაძართა ღმრთისათა.
და ესრეთ, წარკედ მშვიდობით, ისვენ მამული შენი, და დაიტევ
წმიდა ეკლესია. ნუ გეძინის დაკარგვად ამისძიერ ღმრთისმსახუ-
რების ტუბილისა დროებისა. მოხეცა წინაუძღოდა დაშქართა თახთა,
და იყო ეგრეთვე თანამწრასველ ღმრთისა. სიყვარულსა შინა მოყუ-
ხისასა შეიცვის სიყვარული ღმრთისა; და ვიკადნიერებდა თქმად,
რომელ სიყვარული მოყუხისა უნიამოუნეს-არს ღმრთისა, ვიდრე გულს-
მოღვინებითი ზრუნვა ცხოვნებისათვის მხოლოდ სულისა თახისა;
რამეთუ “არავინ ჩუწნთაგანი თავით თახით ცოცხალი არს, და
არავინ თავით თახით მოკუდების,, (რომ. 14, 7).

თორნიკი დაემორჩილა წმიდა თანხის ბრძანებას, და განიხი-
და რა დროებით საბერო ტანისამოსი, მიიღო უფროსობა ლაშქრო-
ბისა; და იმისაგამო ეს ლაშქრობა გათავდა კეთილად და ჩინებუ-
ლად. დაამარცხა რა რადუნსამე ბრძოლაში სპარსნი, შეარია იგი-
ნი ბერძნებთანა და მოახდინა სასარგებლო საბერძნეთისათვის მშვი-
დობა. რადუნსაც, შემდგომ ამისა, მობრუნდა თორნიკი სამეფო ქა-
ლაქში (სტამბოლში), და შთახაზრა თავისი თანამდებობა ვინდამი-
ცა ჯერაიყო, — მასინ დედოფალმა შეაძლია მას სსწა და სსწა სა-
ჩუქარი; მაგრამ თორნიკმა ჭბობოვა მსოფლოდ რადუნსამე ფული
აღსაძენებელად ახალი მონასტრისა ათონის მთაზედ ივერიის ანუ
საქარტლელს სასკლზედ. სიკეთის მგრძნობელმა დედოფალმა სინა-
რულით აღუხრულა მას სურვილი თვისი, და ამასთანავე ბრძანა კიდევ
განწესება მისი აწსიმანდრიტად იმ ახალს აღმენებულს მონასტერში.

ეს ივერიის ანუ ქართლელთა მონასტერი არის დღევანდელ დღემ-
დინაც; მაგრამ იმყოფება არა ქართლელის, არამედ ბერძნების სკლში.

იმის სალაროში არიან შენახულნი დიდად შესანიშნავნი სამსე-
დრო იარაღნი თორნიკისა, ძალიან მძიმენი და ძვირფასად შემკულ-
ნი. იგინი ცხადად გვიჩვენებენ ჩუქნ, რომ თუთოულსა ჩუქნგანსა შე-
უძლიან ემსახურებს ერთად მკუფებსა ზეცათასა და მკუფებსა ქუჭუნთასა. (*).

რუსულით მთარგ. პლატონ ლოლასძე.

(*) საკვირველია ესრეთი დიდებული მხნეობითა და სიწმიდითა გუამი —
თორნიკი ჩუქნში დავიწყებულია, ასე რომ ჩუქნს წმინდანებშიც არ იპო-
ვება მისი სახელი. უეჭველია, ეს მომხდარა რომელიმე დროების ვითარე-
ბისა-გამო; ხოლო დასამტკიცებელად მისის დიდისა სიწმიდისა საკმაოა გა-
ხსენოთ, რომ თვით ბერძენთა და რუსთაგანცა იწოდება იგი წმიდად და სა-
თნოდ უფლისა. მხოლოდ მით არის იგი ცოტად პატივის-ცემული ჩუქნში,
რომ ზოგიერთნი ქართლელნი, უფრო თავადნი, ერისთვიანთ გვარნი, იწო-
დებიან მისი სახელით. ინებოს ღმერთმან, მიხაძონ მათ და სხუათაცა ქართ-
ლელთა წმიდა თორნიკის მხნეობასა და კეთილ-მსახურებასა, ანუ ღმრთის და
მოყუხის სიყუარულსა, რადცა არს სანატრელ და სასიამოვნო ყოველთა-თვის
და პატივის-საცემელ ღირსისა თორნიკისა. რედ.

ადმონსკლეთით თაყუანის-ცემისათვის ღმერთისა.

ღმერთსა მსახურებისა ჩემისა ხიონის სობორში, მრავალნი მცირედგანათლებულნი სასულიერო წოდების პირნი შეკრებოდენ ჩემს ოთახში; ვინაჲდგან მსხლობლად ჩემსა იმყოფებოდა კანცულარია ექსარხისისა, — და დაიწყებდენ ღაზარაკსა საღმრთო წერილის და საღმრთო მსახურების საგანზედა. უფრო ხშირად ქქონდათ მათ ღაზარაკი მასათვის, თუ ვითარნი მიზევსით თაყუანის-ცემების ადმონსკლეთით ღმერთი; და მრავალთა ვერ ვძლათ აღხსნა მასი. და აწცა უწეო მე, რომელ არიან ჩემებრნი გურს დაუსრულებულნი სამღუდელონი მრავალნი, რომელთაცა არა ზედამიწევსით იციან იგი; და უკეთუძცა სამღუდელთა არა გცოდინებათ, მაშინ საკრთთა ვინაგანღა უნდა ისწავლონ. ამისთვის სასარგებლოდ ვრაცხთ — მივსაქციოთ უურად-ღება ამასევე და ძოვიანმინოთ სწავლა წმიდისა იოანე დამასკელისა.

“ღმერთი არს ნათელი, და მზე ხიმაწითლისა, და წერილთა შინა, ადმონსკლად სახელადების ქრისტე; ვარდა ამისა, იტყუნ წინასწარმეტყველი დავით, “მეფენი ქრისტეანისანი აქებდით ღმერთსა და უგალობდით უფალსა ადმონსკლსა ზუდა ცხსა ცათსა ადმონსკლით... და კვლად იტყვის წერილი: “დახერგა ღმერთმან სამოთხე ედემს ადმონსკლით. და კარავსა მას, რომელიცა ქქმნა მოხე, ადმონსკლით ქქმნდა კრეტხაბმელი და საღვინებელი. და ოდესცა სოლომონმა

აღაშენს ტაძარი, აღმოხვეულით უფო მას ბჭე. და ჯუჯარს-ეცნა რა
უფალი ჩუქნი იესო ქრისტე, დასავლეთად სედიდა, და ესრეთ
მდგომარენი და მხედველნი ხალხთოდას ზიარისა მისისანი, თაყუან-
ისსტემდენ მას. და ამაღლდებოდა რა ზეცად იესო ქრისტე, აღ-
მოხვეულით კერძო აღვიდოდა ღ ესრეთ თაყუანისსტემდენ მას
მოციქულნი მისნი, და ანგელოზნი ეტყოდენ მოციქულთა მათ: “ესე
იესო, რომელი ამაღლდა თქუნიან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს,
ვითარცა ისილეთ აღმავალი ზეცად... და თუთცა სთქუა იესო ქრი-
სტემ: “ვითარცა ელვა რა გამოვალს აღმოხვეულით და ხანს
ვიდრე დასავლადმდე, ეგრეთ იუფს მოხვლას მისა გაცისა. და ამის
თუხ თაყუანის-ეცნით აღმოხვეულით ღმერთსა... (*)

მღჳდელი ა. ჯანუკი.

(*) ღმრთის-მეტყველება იოანე დამასკელისა, წიგნი 4. თავი 13.

კულის წუხილი ბედ-კრულისა.

მუდამივს ჯავრი და ბორბტება,
ბედ-კრული კაცი, მით იტანჯება.
არვინ არ არის, ნუგეშის-მცემი,
მხოლოდ ეს არის, ჯავრის მომცემი. —
არ მიბრალებენ, არც მიწუნარებენ,
თითქმის სიცოცხლეს მე მიმწარებენ. —
კით გასძლახს გულმან, ამ მწუნარებით,
რას მე დავდივარ, სულ მდუღარებით. —
არ ხაით შემწე, არ ხაით მცნობი,
არავინ არის ჩემსედა მკრძნობი. —
თუმც მწუნარება, ყველამ უწყიან,
მაგრამ საბრალახს, განზედ უკლიან. —
ვის რა შევსთხოვო, მე მოკლებულმა,
კით გასძლახს გულმა, ყველგან ტანჯულმა. —
რადგან, ზენარო, ხარ შენ ცხოველი,
მარტო წყალობას შენგნით მოველი. —
შენ გთხოვ ყოველსა, რაც მომაკლდემა,
შენზედ მაქნებ მტკიცედ მე ხახოება. —
ყოველი შენგნით არის სულ-დგმული,
მხოლოდ შენზედ ვარ დამყარებული. —
რადგან შენა ხარ ჩუქნი დამრჩენი,

და ერთად ხალხთა ყოვლის გამხენი. —
ღმერთო, მეწიე, შენ გეკედრები,
ჩადგან ბედ-გრული მე კიტანჯები!
თუძცა ამ ხალხთ შორის, არვის დავხანდე,
მხოლოდ ბედ-გრულსა, შემწედ შენ ძევანდე!

გ ი რ გ ი ი ა ნ ქ რ ვ ი .

ს ხ ჴ ა და ს ხ ჴ ა ა მ ბ ა ვ ი .

კზ-ს ივნისს ამ ხუდე წ. ხელმწიფე იმპერატორმა ინება დაძ-
ტიტება უწმიდესის სინოდის წარდგინებისა მყოფობისათჳს ცაგე-
რის მონასტირის არსიანდრიტისა ტ ა რ ა ს ი ს ა მინგრელიის ეპის-
კოპოსად. სახელ-წოდება მისი ეპისკოპოსად აღსრულდა ტფილის-
ში, საქართველადმკრეთის სინოდის კანტორაში, კზ-ს აგვისტოს,
ხოლო ხელდასხმა სიონის საკათედრო სობორში ღ-ს აგვისტოს,
ძალად-ყოვლად უსამღჳდელოების საქართველადს ექსარხოსის არ-
სიეპისკოპოსის ევსევინადმიერ თანამონაწილეობითა ყოვლადსამღჳ-
დელოთა ეპისკოპოსთა: გაბრიელ იმერეთისათა და გერონტი გო-
რისათა, საქართველადს ვიკარისა.

ხელმწიფე იმპერატორმა, ყოვლადღაუმოწყალებად ინება და-
ვიდოდოება მიგრელის სახულიერო სასწავლებლის სმორტიტლისა,
გოლეესკის სეკრეტრის ი კ ა ნ ე ჭ ი ჭ ი ნ ა მ ი ს ა, ერთგულად სამსა-
ხურისა და სხჴა და სხჴა სახარგებლო შრომისათჳს სახულიერო
უწყებაში, წმიდის ს ტ ა ნ ი ს ღ ა კ ი ს ძევანდე სარისის ო რ დ ე ს ი თ ა .

გალობა სინანულისა, თქმული დავით მეფისა
ადამაშენებელისა.

გალობა, ა. სძლის-პირი:

“წამის-ყოფითა, ღმერთო, ბუნებანი მდინარენი
“ხელუდელად აღამაღლენ, და მას შინა განიუჭანე კრი ის-
“წაიღთა სმელად, და გიგალობდეს გალობასა ძლევისასა“.

ჩასართავი: მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

რომლისა წინაშე ქედ-დადრეკილას უოკელი,
მუხლი მოდრეკების და ენა უოკელი შენსა ხმობს აღსა-
რებსა; მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

სატხა თჳსსა მამსგავსე, და სავრჳეჲლად გრძნობა-
დისა (*) და გონიერისა მეფობისად დამაწესე, შენებრ
აწხთა სიტყუებისა ჩემშორისცა შევრებითა; ხოლო მე
უძაღლო გექმენ. დიდება:

ბუნებითნი რა ძალნი არა სჯუღთაებრ ვიხმეინ,
მსგავსებისაგან დაჯაკლდი და დაჯბადე ბოროტი, ხოლო
სიღუღთა მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუსვენ ვრძ-
ნობანი. აწ და:

ქალწულო, ბრალუღთა თავმდებო, რომელმან
სიტყუა განაზრჳე ხორციითა დაცვითა მიწისათა, სი-
წრჳე უხასრებისა განსძარცვე ჩემგან, რათა მონაწული
შეგივრდე შენ.

(*) სილულისა, ქუტყუნიერისა. — აქ იგულისხმების,
რომ ამ სინაწულის გალობის წარმომთქმელსა მეფესა მიენიჭა
ღუთისაგან მადლი არა-მხოლოდ განბნეულთა და განთხე-
ბულთა მისთა სამეფოს ნაწილებთა შეერთებად ანუ ერთად შე-
კრვად, არამედ მოპოვებადცა და დამკვიდრებად ამას-თანა ზე-
ციერის მეფობის დიდებისა. რედ.

ღ
რ
მ
ს
დ
რ
ჳ
კ
კ
ს
ჳ

გალობა, გ. სძლის-პირი:

“ღმერთო, მაცხოვარო ჩუქნო, ყოვლისა დამბა-
“დებელო, რომელმან სიტყუთ დაამყარენ ცანი ძალაღნი,
“ყოვლით ძალით მათით და სულითა მით ხაღმერთოთა,
“დამამტკიცენ ჩუქნ ერთობით კლდესა ზედა საწმუ-
“ნობისასა“.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ბუნებითსა მას ჰორთვირსა თუთ მიფლობელობისა-
თანა, მიფობისაცათანა შარავანდენი მარწმუნენ, (*)
სოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მიუყიდე თავი, რამე-
თუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ, მისდაცა მონებულაჩიან.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

კაენის მკვლელობრი ცნობა, სეითის ძეთა ღირ-
წება, (1) გმირთა ხილოღანი, (2) მავლობა სუთაქადა-
ქელთა, შეგინებისა მწვირე უფროსად გამრავალწილე,
კითარცა რაჲ დაღმართამსობელმან მდინარემან უკეთუ-
რებისამან. დიდება:

(*) ეს მუხლი ცხადად გვანიშნებს, რომ ამის შემდგენი
მეფე ყოფილა ძლიერი და თვთ-მპყრობელი.

(1) ურცხვინობა. (2) უწესობა. რედ.

მეგობრული გულმძიმობა, ქანანელთ ჩუქრულებანი, მსხვერპლთა ნაშობთა ზმნა (1), და სხარვა (2), კოწილი (3) თმათა, და სხარანი, რომელთა შენ ბრძანე არა მსგავსება, უწარმდებესად მოვიგენ თუთ მათ პირმშობთა სხარეთასაცა. აწდა:

ამისთუხ იყო ქაღწული და ხორც ქუჭყანა სიტყუხა, რათა დედობრივთა რხათაშიერ ცხონდენ ცოდვილნი, რომელთა პირველი მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღვართა.

გალობა, დ. სძლის-პირი:

„რამს ესმა მოხლუა შენი წინასწარმეტყველსა, „ქრისტე, განკვირვებით ღაღადჰყო, მესმა მე სმენა შენი, უფალო, რამეთუ მოხულდ ქუჭყანად, რათა ცხონებნე დღეს ცხებულნი შენნი,“

ზიწუალე მე ღმერთო, ზიწუალე მე.

ისრაილისა მეფეთა ვხადევდ, გარნა უხჯულოთა, და რაკდენ მეძლო, ვსცდებოდე ძაღლთა ზედა კმოლვისა (4) და წარმართთა აღრევისაშიერ, და ძაღლთა ცისათა თაუვანისცემისა.

(1) კერპთ-მსახურება და მსხვერპლის შეწირვა მათდა. (2) კუდიანობა ანუ მისნობა. (3) წვერი თმისა, საეშმაკოდ ნაწნავისა.

(4) კმევა, ზოლება საკმეველისა წინაშე კერპისა. რედ.

მიწყალე მე ღმერთო მიწყალე მე.

ზენაისა მოძრაობისა ასურისტანელი ძმნობა (1)
და ცთომილთა ვარსკუთლავთა და უცთომელთა კრება და
განყრა, სვე და ბედი, და შობის დღე, ვითა საღმრთოთა
უხმენელმან, ვიხჭურენ. (2) დიდება:

ელლინთა მიერი ვერცნობა სიბრძნეთა ღუთისათა,
ღუთისა და შემოქმედისა შექმნულთა მიმართ ცვალება
თაყუანისცემისა სრულკვყავ, რაჟამს თჯთოეულისა ვნე-
ბისა კერძსა ვმონე. აწდა:

ამისთვის ღმერთ მამაკაცებრ მოქმედი იქმნა ზეს-
თა ღმერთი, რათა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუჭნნი,
და ღუთაებრ იხსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღუთის-
მშობლად ქადაგან წმიდა ქალწული.

გალობა, ე. სძლის-პირი:

„შენდა აღჯმნთობ, რომელმან წყალობით მიეც სუ-
ლი შენი დაცემულთათვის ცოდვლთა ჳ ნებსით ვნებად

(1) ეს არის სიმღერა ანუ გალობა ვარსკუთლავთ-თაყუანის-
მცემელთა, რომელსა წარმოსთქმიდნენ ასურისტანელნი თჯთ-
ჟამსა ყრმის შობისასა, რათამცა იქმნეს იგი ბედნიერ.

(2) ვიფიქრე, განვიზრახე, რ ე დ.

„გარდამოხედ სიტყუა ღუთისა, მშვიდობა შენი მომეც
„ჩუენ, ვითარცა კაცთა მოყუარე ხარ,,

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ჭსჯულისა დაუთრგუნენ წიგნისა და ახალი ბუნებო-
თურთ, და კუალად ჭსჯულისა შენისა მოწამე, ჭსჯული გო-
ნებისა, ცოდვისა და ხორცილისა ჭსჯულსა დაკადონე.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

თუთოეულთა მსეტთაგან შეზავებულსა მსეტსა კემს-
გავსე მრავალგვარად, ჭ მრავალ ხატსა და სხუა უამ სხუელ-
ბრად ხელსა და მკენარსა ბუნებისაებრ თუთოეული-
სა. დიდება:

არა შეგძნწუნდი მანგლისაგან მიფრინველისა, რე-
მელი შუისა სიკუდილისა მისდის, რემელნი ჩემებრ
მიმდემად (1) ცრულ ფიტკუნ განსაკრთომელსა ხასელსა შენსა.

აწღა:

ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთაგან კორცნი
ღუთისანი ჭ ახალი შეზავება, (2) ღმერთი ჭ კაცი, რა-
თა იოხდეს ღუდა ჩემებრ განწირვით უსახლქმნილთა.

(1) ყოველ-დღე, დაუცხრომელად.

(2) ესე იგი — შეისხნა კორცნი ღმერთმან და იქმნა ახალი
შეზავება. რედ.

გალობა, ვ. სპლის-პირი:

„დანთქმული ღეგუითა, სოფლისა ამის განსაცდელ-
თათა, ნაკითა ცოდუნათა ჭმითაგოდომილი, ჳ მიგდებული
„მხეცსა სულთა მომწმუნებსა, გილაღადებ, ვითარცა იონა,
„ხრწნილებსაგან ჳ სიკუდილისა მისხენ ქრისტე,“

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

სოფომონისსა წურბლისა ვერ მადღარი, სხუათა
სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაზერობელად ჩემისაძღუ
უძლებებისა ჳ გულისთქმისა.

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე.

ბორბტად გარდავსედ საზღუართა ჳ შეკრთე სახლი
სახლსა ჳ აგარაკი აგარაკსა ჳ უუძლურესთა მივსეკე ნა-
